

## ლადო გუდიაშვილი

საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვინც ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას არ იცნობს. უალრესად პოპულარული, ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, მონუმენტალისტი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ილუსტრატორი, საქ. სახალხო მხატვარი (1958 წ.), შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1966 წ.), პროფესორი ვლადიმერ (ლადო) გუდიაშვილი, თბილისში 1896 წ. 18 მარტს დაიბადა.

ლადო ბავშვობიდან ამყლავნებდა ხატვისადმი დიდ ნიჭს, რომლის პირველი შემფასებელი და მასწავლებელი „კავკასიის ნატიფ ხელოვანთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, გერმანელი მხატვარი რიჰარდ ზომერი იყო. მისი რჩევით, ლადო 1910 წლის აგვისტოში ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში მიაბარეს. ლადო გუდიაშვილი ავტობიოგრაფიაში, რომელიც ჩვენს მუზეუმში დაცულ მხატვრის პირად არქივში ინახება, ამ ეტაპს ასე აღწერს: „პირველ კურსზე კონკურსის გამოცდა ფრიადზე შევასრულე და ვიყავი მიღებული სტიპენდიის დანიშნით. სამხატვრო სასწავლებლის დამთავრებამდე 1912 წ. ვღებულობდი მონაწილეობას სურათების გამოფენაზე, გამართული ამავე სასწავლებლის პედაგოგ-მხატვრების მიერ. დავამთავრე 1914 წელს მხატვარ-პედაგოგის სახელწოდებით. 1914 წელს დავასურათე მოთხრობა, რომელიც იყო დაბეჭდილი (ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში). აგრეთვე, ვღებულობდი მონაწილეობას, როგორც მხატვარი მაშინდელ პრესაში. ამავე წლიდან ვმონაწილეობდი როგორც ჯგუფურ, აგრეთვე დამოუკიდებელ გამოფენებზე. როგორც თბილისში აგრეთვე მოსკოვში, ერევანში, ბაქოში და სხვა“ (სტილი დაცულია).

სასწავლებლის დამთავრებისთანავე, 18 წლის ასაკში იწყებს მუშაობას ხატვის მასწავლებლად თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. 1915 წელს მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო, ხოლო მომდევნო წელს, სხვა მოღვაწეებთან ერთად დააარსა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“.

ლ. გუდიაშვილი 1916-19 წწ. „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ მოწყობილ სამ უმნიშვნელოვანეს ექსპედიციაში იღებს მონაწილეობას: ნაბახტევის ეკლესიის XV საუკუნის ფრესკების გადმოსახატად მოწყობილ ექსპედიციაში, შემდეგ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შესასწავლ ექსპედიციაში, და ბოლოს 1917 წელს კი, სამხრეთ საქართველოში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლების – ოშკის, ხახულის, იშხნის, პარხლის და ოთხთა ეკლესიის შემსწავლელ ექსპედიციაში, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამავე წელს, ლ. გუდიაშვილი შეხვდა შესანიშნავ თვითნასწავლ მხატვარს ნიკო ფიროსმანს (რამაც მის შემოქმედებით ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა) და საზოგადოებისგან გაგზავნილი ფულადი დახმარება გადასცა.

1917-1919 წლებში ლადო გუდიაშვილმა შექმნა თბილისის ბოჰემური ცხოვრებისადმი მიძღვნილი ციკლი, რომლის მთავარი პერსონაჟები კინტოები და ყარაჩოღელები იყვნენ.

1919 წელს, „ცისფერყანწელთა“ თაოსნობით გაიხსნა და მათივე ინიციატივით მოიხატა კაფე „ქიმერიონი“. ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძესთან, კირილე ზდანევიჩთან, ზიგმუნდ ვალიშევსკისთან და სერგეი სუდეიკინთან ერთად იღებს მონაწილეობას კაფე „ქიმერიონის“ (დღევანდელი რუსთაველის თეატრის ქვედა სართული) ფოიეს მოხატვაში.

1918 წელს დიმიტრი შევარდნაძის ძალისხმევით, თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მდებარე შენობა „დიდების ტაძარი“ (დღევანდელი ეროვნული სამხატვრო გალერეა), როგორც საგამოფენო დარბაზი გადაეცა ქართველ მხატვართა საზოგადოებას. 1919 წელს მოეწყო ყველა თაობის ქართველ მხატვართა გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო ლ. გუდიაშვილის, ნ. ფიროსმანის, გ. გაბაშვილის, მ. თოიძის, შ. ქიქოძის, დ. კაკაბაძის, ელ. ახვლედიანისა და სხვათა ნამუშევრები. გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის ტილოებმა. ლადო გუდიაშვილი საზოგადოების წინაშე 80-მდე ნამუშევრით წარსდგა, რომლებშიც გამოიკვეთა ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული, ინდივიდუალური ხელწერის მხატვარი.

1919 წლის 20-22 ივლისს ქართველ მხატვართა საზოგადოების საბჭომ ჩაატარა ქართველ მხატვართა უცხოეთში სასწავლებლად გასაგზავნი კონკურსი, რომელშიც გაიმარჯვეს: ლ. გუდიაშვილმა, დ. კაკაბაძემ, შ. ქიქოძემ, ქ. მაღალაშვილმა და ელ. ახვლედიანმა.

ლ. გუდიაშვილი პარიზში სწავლის პერიოდში (1919-1925 წწ.) მუშაობდა რონსონის ე. წ. „თავისუფალ აკადემიაში“. პარიზი დიდ ინტერესს და მოწონებას იჩენდა გუდიაშვილის მხატვრობის მიმართ. 1920 წელს, „საშემოდგომო სალონში“ მოეწყო იგი გამოფენაზე წარმოდგენილი ჰქონდა 4 სურათი: „ქეიფი“, „იდილია“, „კინტოების ქეიფი ქალთან“, „ქეიფი გარიჟრაჟზე“. ორი სურათი გამოფენის პირველსავე დღეებში გაიყიდა, ერთ-ერთი – „კინტოების ქეიფი“ ცნობილმა ესპანელმა მხატვარმა, იგნასიო სულოაგამ შეიძინა. უცხო ქვეყნის ეროვნული ელფერით შეზავებული მხატვრობა პარიზისთვის უცხო იყო.

1922 წელს ლადო გუდიაშვილმა პარიზის „ლა ლიკორნის“ გალერეაში წარმატებული პერსონალური გამოფენა მოაწყო. მეორე გამოფენა „ბიიეს“ გალერეაში გაიმართა (1925), რომელსაც ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად. მისი პოპულარულობა სულ უფრო იზრდებოდა და მორის რეინალმა გამოსცა მონოგრაფია „ლადო გუდიაშვილი“ (პარიზი, 1925 წ.). მისი ნამუშევრები შეიძინეს კერძო კოლექციონერებმა, პარიზის გალერეებმა, მადრიდის „პრადოს“ მუზეუმმა. ამ პერიოდის შემოქმედებაში მთვარი თემა ეკავა ძველ თბილისს და ფანტაზიებს ქართულ თემებზე: „სადღეგრძელო გარიჟრაჟზე“, „თევზი ცოცხალი“, გრაფიკული და სატირული ნახატები „მობანავე ქალი“, „ჩარლი ჩაპლინი და ბატონი იმპრესარიო“ და სხვა.

1925 წლის ბოლოს ლადო გუდიაშვილი საქართველოში ბრუნდება და 1926 წლის დასაწყისში თბილისში აწყობს გამოფენას, სადაც ნათლად გამოჩნდა მხატვრის ბრწყინვალე შემოქმედება, რომელმაც უცხო მხარეშიც არ დაკარგა ეროვნული ნიშან-თვისებები. ამონარიდი ლადო გუდიაშვილის ავტობიოგრაფიიდან: „საქართველოში ჩამოსვლისთანავე, 1926 წელს ფერწერის ფაკულტეტზე პროფესორის თანამდებობაზე, კომპოზიციის კლასის ხელმძღვანელად და კერამიკულ ფაკულტეტზე ვიყავი მონვეული. საქართველოში პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდი განისაზღვრება 1915-1919 წწ. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ კი 1926-35 წწ. მაქვს გაფორმებული მრავალი თეატრისა და კინოს დადგმები. უკანასკნელ წლებში დახატული მაქვს მოსკოვის გამოფენისთვის შოთა რუსთაველის პოემის ილუსტრაციები და სხვა ბევრი ნიგნის გრაფიკა.“

ავტობიოგრაფიაში მხატვარი გვერდს უვლის მისი ცხოვრების მტკივნეულ ფაქტს. 1946 წელს, უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, კალისტრატე ცინცაძემ გადაწყვიტა, ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარი მოეხატათ. დიდი იყო ლ. გუდიაშვილის სიხარული, როდესაც ეს საპასუხისმგებლო საქმე მას მიანდეს. მხატვრის გადაწყვეტით, წმინდანთა იერსახე უფრო მინიერი უნდა ყოფილიყო, ხატავდა ენკაუსტიკის ურთულესი ტექნოლოგიით – ცხელი, ადუღებული საღებავებით.

ანონიმური წერილების საფუძველზე, უშიშროების კომიტატმა მას ბრალად დასდო საბჭოთა იდეოლოგიის ლალატი, ხოლო საპატრიარქომ და მრევლმა (წმინდანებს ყურები არა აქვთ, ჩვენი ლოცვა არ ესმითო – მ. მ.), მხატვარს, წმინდანთა სახეების მინიერების გამო, ურწმუნოება დასწამა. თავდადებული ცხრა თვიანი შრომის შემდეგ, ხატვა შეაწყვეტინეს. 1947 წელს კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს და პედაგოგიური მოღვაწეობაც აუკრძალეს.

ათი წლის სიჩუმის შემდეგ, მოულოდნელად, 1957 წლის 12 მაისს, ლადო გუდიაშვილის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის სამხატვრო გალერეაში მხატვრის პერსონალური ნამუშევრების გრანდიოზული გამოფენა დაიგეგმა. უსაზღვრო ფანტაზიის შემოქმედმა 800-ზე მეტი ნამუშევარი გამოფინა, რომელმაც დიდი აღიარება მოუტანა.

მხატვარ ლევან ცუცქერიძის ზეპირი გადმოცემით, რომელიც იმ დროს სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტი იყო – „არ ვიცი რაში იყო საქმე? როგორც ჩანს, მთავრობას დასჭირდა ლადო გუდიაშვილის რეაბილიტაცია და თბილისის სამხატვრო გალერეაში მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. ექსპოზიცია კი მოაწყვეს, მაგრამ გახსნის ემინოდან, გამოფენის გაუქმების საშიშროება გაჩნდა. ახალგაზრდებს ძალიან გვინდოდა დათვალეიერება; ამიტომ გამოფენის პირველ დღეს კარები შევანგრიეთ და ისე შევედით. სანამ კარგად არ დავათვალეიერეთ არ გამოვედით. ხოლო მეორე დღეს გამოფენა ოფიციალურად გახსნეს. გამოფენამ უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, განსაკუთრებით ადრეულმა პერიოდმა. გამოფენის დახურვამდე ყოველდღე დავდიოდით“ (ესაუბრა მ. მ.).

საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში ინახება ლ. გუდიაშვილის მიერ სხვადასხვა წლებში შესრულებული თეატრალური დადგმებისთვის შესრულებული ესკიზები: რუსთაველის თეატრში – გრ. რობაქიძის „ლამარა“

(1925 წ.), მარჯანიშვილის თეატრში: „არსენას ლექსი“ (1930 წ.), ი. მჭედლიშვილის „ოიანა ბუიანა“ (განუხორციელებელი, 1931 წ.), ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“ (1955 წ.), საესტრადო დადგმა „ქოსატყუილა“ (1952 წ.), ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში „აბესალომ და ეთერი“ (1960 წ.). და მრავალი სხვა.

მის მიერ გაფორმებულია კინოფილმები: „საბა“ (დ. კაკაბაძესთან ერთად, 1929 წ.), „განწირულნი“ (1930 წ.), „გაყრა“ (ვ. სიდამონ-ერისთავთან ერთად, 1930 წ.), „ხაბარდა“ (დ. კაკაბაძესთან ერთად, 1931 წ.). ანიმაციური ფილმები: „არგონავტები (კოლხეთი)“ (1936 წ.), „როგორ ააშენეს სახლი“ (1965-66 წწ.).

ლადო გუდიაშვილი 1980 წლის ივლისში გარდაიცვალა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## ლადო გუდიაშვილის პირადი საარქივო ფონდი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ლადო გუდიაშვილის ავტობიოგრაფიული ცნობები.  
1939 წ. 18 ივნისი. ავტოგრაფი. ლ. გუდიაშვილის ხელმოწერით. მელანი. 1 ფ.
2. ლადო გუდიაშვილის ავტობიოგრაფია 1896 - 1937 წწ.  
1937 წ. ნაბეჭდი. ასლი დამონმებული დედანთან. ხელმოწერა არ იკითხება. 1 ფ.
3. ლადო გუდიაშვილის ავტობიოგრაფია 1896-1938 წწ.  
1938 წ. ნაბეჭდი. 2 ფ.
4. ლადო გუდიაშვილის ავტობიოგრაფია.  
1961 წ. 5 ივნისი. ნაბეჭდი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 ფ.
5. ლადო გუდიაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1939წ. 21 ივნისი. ხელნაწერი. ლ. გუდიაშვილის ხელმოწერით. მელანი. ნაბეჭდი. ბლანკი. ქართულ-რუსულ ენებზე. 2 ფ.
6. ლადო გუდიაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით.  
1939 წ. 21 ივნისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ზოგიერთი გრაფა შევსებულია ხელით. ლ. გუდიაშვილის ხელმოწერით ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ფ.
7. ლადო გუდიაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით.  
1947 წ. 13 მარტი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ბლანკი. ლ. გუდიაშვილის ხელმოწერით. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

### დახასიათებები

8. ლადო გუდიაშვილის დახასიათება, გაცემული საქ. სახალხო მხატვრის – მხატვართა კავშირის თავმჯდომარის უჩა ჯაფარიძის მიერ. ზოგადად ეხება ბიოგრაფიულ და შემოქმედებით მონაცემებს, დაჯილდოებების ჩამონათვალით.  
1961 წ. 5 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 ფ.
9. ლადო გუდიაშვილის დახასიათება, გაცემული ვახტანგ ბერიძის მიერ. მოკლედ განიხილავს ბიოგრაფიულ და შემოქმედებით მონაცემებს. აძლევს მაღალ შეფასებას მხატვრის შემოქმედებას.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 ფ.
10. ლადო გუდიაშვილის მოკლე დახასიათება, გაცემული საქ. სახალხო კომისარიატთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 ფ.
11. ლადო გუდიაშვილის მოკლე დახასიათება.  
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქ. მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ქ. გიორგაძე, პასუხისმგებელი მდივანი ა. კოპალიანი. 1 ფ.

### ბრძანებები

12. ბრძანება №60 ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი საქ. მხატვართა მიერ გამოფენისთვის დამზადებული სურათების შესამონმებლად და შესაფასებლად. ამხ. გუდიაშვილის, თავაძის, გიორგაძის, ამირანაშვილის, ახვლედიანის და ჯანელიძის წევრობის შესახებ.  
1940 წ. 11 თებერვალი. ნაბეჭდი. დამონმებული ბეჭდით. ხელმოწერა არ იკითხება. 1 ფ.
13. საქ. სსრ სახალხო საბჭოს კომისარიატთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება №320. პროფ. ლ. გუდიაშვილის, პროფ. შ. ამირანაშვილის და მოქანდაკეს კაკაბაძის შემადგენლობით, სამხატვრო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ.

1940 წ. 9 ივნისი. ნაბეჭდი. დამონმებული სამმართველოს ბეჭდით. ხელმოწერა არ იკითხება. რუსულ ენაზე. 1 ფ.

14. ამონაწერი საქ. მხატვართა კავშირის გამგეობის სხდომის ოქმიდან №12 ლადო გუდიაშვილისათვის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების გამო. 1939 წ. 28 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს მდივანი ანანოვი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

15. ამონაწერი ხელოვნების მუშაკთა კავშირის რესპ. კომიტეტის სხდომის ოქმიდან №13. 20/03/1940 წ. პროფ. ვ. დ. გუდიაშვილისათვის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების გამო. 1940 წ. 7 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერს საქ. მმართველი ჩოჩიევი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

### **მოსაწვევი ბარათები, პროგრამები**

16. მოსაწვევი ბარათი. შეხვედრა მხატვარ ლ. გუდიაშვილთან ხელოვნების მუშაკთა სახლში. 1957 წ. 18 ივნისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

17. ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს პროგრამა. 1956 წ. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ. 4 ეგზემპლარი.

18. ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს პროგრამა. 1956 წ. ნაბეჭდი. ყდა გაფორმებულია ლ. გუდიაშვილის მიერ. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

19. მოსაწვევი ბარათი დ. ანთაძისადმი მხატვარ ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენის გახსნაზე – დაბადებიდან 60 წლისთავის და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად; საქ. სურათების სახელმწიფოს გალერეაში. 1957 წ. 12 მაისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

20. მოსაწვევი ბარათი დ. ანთაძისადმი. ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავის და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად; ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1958 წ. 20 იანვარი. დასტამბული. მოსაწვევი და კონვერტი ლ. გუდიაშვილის გაფორმებით. ფოტო სურათით. კონვერტში დევს საბანკეტო დარბაზის მოსაწვევი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 კ. 1 ც.

21. მოსაწვევი ბარათი პ. მურღულიასადმი. ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავის და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად; ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1958 წ. 20 იანვარი. დასტამბული. მოსაწვევი და კონვერტი ლ. გუდიაშვილის გაფორმებით. ფოტო სურათით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 1 კ.

22. მოსაწვევი ბარათი კ. კინწურაშვილისადმი. ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავის და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1958 წ. 20 იანვარი. დასტამბული. ლადო გუდიაშვილის გაფორმებით და ფოტო სურათით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 1 კ.

23. ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი. უთარილო. დასტამბული. ხელმოწერით შიდა მხარეს მხატვრის ავტოპორტრეტი. 1 ც.

24. მილოცვის ყდა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ჯანსუღ ჩარკვიანის მიძღვნილი ლექსი „50 წელიწადი“. სპი სტუდენტების საზეიმო სიმღერის „შენი დიდება“, ნოტები ტექსტით. ლექსი მ. ფოცხიშვილის, მუსიკა შ. მილორავასი. ლადო გუდიაშვილის ნახატთან ერთად. 1967 წ. დასტამბული. დაზიანებული. 3 ფ.